პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა
9 იანვარი
1955 წელი
№ 3 (809)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოსთან არსებული ფიზ-
კულტურისა და სპორტის კო-
მიტეტისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური
საბჭოს ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰასტინგსის ტურნირი

V ტურში სმისლოვმა ენერგიული თამაშით დაამარცხა ინგლისელი ფეირჰერსტი. კერესის პარტია ჩეხ გროსმაისტერ პახმანთან ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგი ფიქსირებულია საბოსა (უნგრეთი) და უნციკერის (დასავლეთ გერმანია) შეხვედრაში.

გადადებული პარტიების დამთავრებისას სმისლოვმა საბოსთან პარტიაში მოახდინა უპირატესობის რეალიზაცია და გაიმარჯვა. პირველი ტურიდან გამოტოვებული სმისლოვ-კერესის პარტია ყაიმით დამთავრდა. კერესმა შესანიშნავად ითამაშა გროსმაისტერ უნციკერის წინააღმდეგ და 45-ე სვლაზე მოიგო პარტია. ყაიმზე შეთანხმდნენ დონერი (ჰოლანდია) და ალექსანდერი (ინგლისი).

VI ტურში ყურადღების ცენტრში კერეს-ფუდერერის პარტია იყო. ბრძოლა კერესის ინიციატივით ვითარდებოდა, მაგრამ მან ლაზიერის წინდაუხედავი სვლის გამო წააგო პარტია. საბო-ალექსანდერის, სმისლოვი-პახმანისა და დონერი-ფილიპსის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ფეირჰერსტი დამარცხდა უნციკერთან.

VII ტურში სმისლოვ-უნციკერის პარტიაში საბჭოთა გროსმაისტერმა უკვე დებიუტში დიდი პოზიციური უპირატესობა მიიღო. როცა 26-ე სვლაზე მან პაიკი მოიგო, უნციკერმა თავი დამარცხებულად ცნო. კერესმა გაიმარჯვა ჰოლანდიის ჩემპიონ დონერთან შეხვედრაში.

VIII ტურში შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა სმისლოვ-ალექსანდერის პარტია. გროსმაისტერმა კერესმა ლამაზად მოუგო საბოს. ფუდერერმა დაამარცხა დონერი.

IX ტურში სმისლოვმა მოუგო ფილიპსს, კერესმა — ფეირჰერსტს, საბომ — ფუდერერს და პახმანმა — დონერს.

ამრიგად, ჰასტინგსის ტურნირი დამთავრდა საბჭოთა გროსმაისტერების—სმისლოვისა და კერესის გამარჯვებით. მათ 7-7 ქულით პირველი-მეორე ადგილი გაიყვეს.

ორი ჩემპიონატის ლიდერი

გრძელდება საკავშირო შეჯიბრებები შაიბიან და ბურთით ჰოკეიში. ორივე ტურნირს ლიდერობენ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდები.

ქალაქ ელექტროსტალის (მოსკოვის ოლქი) სტადიონზე გათამაშების ლიდერი შაიბიან ჰოკეიში შეხვდა კარლ მარქსის სახელობის სპორტკლუბის ჰოკეისტებს და გაიმარჯვა — 8 : 1.

გორკის „ტორპედო“ ჩელიაბინსკის „ავანგარდთან“ შეხვედრაში დამარცხდა დიდი ანგარიშით — 2 : 12. ლენინგრადის კიროვის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ოფიცერთა სახლისა და ნოვოსიბირსკის „დინამოს“ ჰოკეისტები. ნოვოსიბირსკელებმა პირველ წრეში დამარცხებისათვის აიღეს რევანში და გაიმარჯვეს — 6 : 4.

ბურთით ჰოკეიში მორიგ კალენდარულ მატჩში კრასნოიარსკის „ტორპედო“ დიდი ანგარიშით (1 : 6) დამარცხდა სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის გუნდთან.

გათამაშების ლიდერების — თავდაცვის სამინისტროს სპორტკლუბისა და ხაბაროვსკის ოფიცერთა სახლის გუნდების შეხვედრაში — 3:0 მოიგეს მოსკოველებმა. ეს მათი მეთერთმეტე გამარჯვებაა.

არდადეგების დღეებში

უკვე რამდენიმე დღეა, რაც დაიწყო მოსწავლეთა საზამთრო არდადეგები. ჩვენი ქვეყნის მოსწავლე ბედნიერმა ჭაბუკებმა და გოგონებმა დროებით მიატოვეს სასწავლო მერხები, სახელმძღვანელოები. ისინი სიხარულით ელოდნენ ამ დღეებს, რადგან ელოდათ წარმტაცი გართობა-დასვენება მომხიბვლელ ნაძვის ხესთან, კოლექტიური სვლა კინოთეატრებში, მუზეუმებში და სხვ. ამასთან ახალგაზრდებს არანაკლებ აღელვებდათ არდადეგების პერიოდში მოწყობილი სპორტული შეჯიბრებები. ამ დღეებში მათთვის ღია-იყო სპორტული დარბაზების, საცურაო აუზების კარები. მოეწყო მოსწავლეთა შეჯიბრებები ტანვარჯიშში, კრივში, ჩოგბურთში და სხვა.

პირველობათა მონაწილენი აქ ავლენდნენ სასწავლო წლის დაწყებიდან განვლილ პერიოდში სპორტულ სექციებში მიღებულ ცოდნასა და ოსტატობას. ბევრ სკოლაში არდადეგებამდე შეადგინეს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი, რომელშიც გაითვალისწინეს მრავალი საინტერესო საქმიანობა — ფიზკულტურული დღესასწაულები, შეხვედრები სპორტის გამოჩენილ ოსტატებთან, ასპარეზობა მეზობელი სკოლების სპორტსმენებთან და სხვ. განსაკუთრებული სიხარული სუფევდა ბორჯომის რაიონის სკოლებში. თოვლს მონატრებულ მოსწავლეებს სწორედ ახალი წლის წინა დღეს აუსრულდათ გულისწადილი — ფაფუკმა თოვლმა დაფარა ბაკურიანისა და მისი მახლობელი ადგილები. ბევრი ნორჩი მოთხილამურე გამოვიდა თოვლიან ბილიკებზე.

ჩვენი ქვეყნის მოსწავლეთა კომუნისტურ აღზრდაში დიდი ადგილი უკავია მათი ფიზიკურად გამოწრთობის საქმეს. სახელოვანი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ზრუნავენ, რათა საბჭოთა მოსწავლე იყოს სწავლაში მოწინავე, ფიზიკურად ძლიერი, დაბრკოლებათა გადალახვაში შეუპოვარი. ამიტომაა, რომ ყოველწლიურად მოწყობილ სხვადასხვა შეჯიბრებებში ჩვენი მოსწავლეები ამჟღავნებენ შესანიშნავ ოსტატობას, აუმჯობესებენ რესპუბლიკურ და საკავშირო რეკორდებს. სისტემატურად იზრდება თანრიგოსან და ნიშნოსან ფიზკულტურელთა რიგები. ამით იქმნება საბჭოთა სპორტის საჭირო რეზერვი, იზრდება ჩვენი დიდი სამშობლოს მომავალი ჩემპიონები და რეკორდსმენები.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში განსაკუთრებული გამოცოცხლებაა. სტუდენტები ემზადებიან საზამთრო სესიებისათვის, გულდასმით ეუფლებიან საგამოცდო საგნებს, იღრმავებენ ცოდნას; რომ აქტიურად ჩადგნენ კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში. მაგრამ ნაყოფიერ სწავლასთან ერთად საბჭოთა სტუდენტები როდი ივიწყებენ ფიზკულტურას და სპორტს. პირიქით, სექციებში სისტემატური მეცადინეობით ყოველდღიურად იმაღლებენ სპორტულ ოსტატობას, აუმჯობესებენ სპორტტექნიკურ შედეგებს.

ჩვენი სტუდენტებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია საზამთრო არდადეგები, რომელიც 25 იანვარს დაიწყება. ამ პერიოდში მოეწყობა მრავალი საინტერესო სპორტული შეჯიბრება. თბილისში იანვრის მეორე ნახევარში გაიმართება სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლებისა და სპორტულ საზოგადოება „ნაუკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. მოეწყობა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სტუდენტ-მოთხილამურეთა შეჯიბრება ბაკურიანში, შედგება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების შიდასაკოლექტივო გათამაშება სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

როგორც ვხედავთ, სტუდენტთა საზამთრო არდადეგები მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. ეს კი ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებსა და უმაღლეს სასწავლებელთა ფიზაღზრდის კათედრებს ავალებს მაქსიმალურად გამოიყენონ ეს მცირე დრო. ყველა ღონისძიება ჩაატარონ მაღალი სპორტული დისციპლინის ნიშნით, მათში ჩააბან სტუდენტთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველმა მონაწილემ გამოავლინოს თავისი სპორტული შესაძლებლობა და მიაღწიოს მაღალ შედეგს, ჩააბაროს სათანრიგო ნორმები სპორტის ამა თუ იმ სახეობაში.

მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ შეჯიბრებათა ორგანიზაციას. გვახსოვდეს, რომ სპორტულ შეჯიბრებაში იზრდება სპორტსმენი. იგი აქ იძენს საბჭოთა სპორტსმენისათვის დამახასიათებელ ჩვევებს — კოლექტიურობის, ამხანაგობის, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის გრძნობას. დიდი მუშაობის ჩატარება მოუხდება უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრებს. პედაგოგიური პერსონალის აქტიური დახმარებით, ფიზკულტურული აქტივის მობილიზაციით მათ რაციონალურად უნდა გამოიყენონ არდადეგების დღეები.

დიდი მოვალეობა აკისრიათ იმ სტუდენტებს, რომლებიც არდადეგებს სოფელ ადგილებში გაატარებენ. მათ აქ ფართოდ უნდა გაშალონ სპორტული საქმიანობა, აქტიურად დაეხმარონ ადგილობრივ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს და სპორტსმენებს შეჯიბრებათა მოწყობასა და ჩატარებაში. აგრეთვე უნდა მოაწყონ საჩვენებელი საწვრთნელი მეცადინეობანი, კოლმეურნე ფიზკულტურელებს ესაუბრონ საბჭოთა სპორტის შესახებ, ფართო პროპაგანდა გაუწიონ მშთ ახალი კომპლექსის პოპულარიზაციისათვის.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მზადებაა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების სანიმუშოდ მომზადებისათვის. სტუდენტმა სპორტსმენებმა თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ამ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეში. გარდა იმისა, რომ ისინი დაეხმარებიან ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს საარჩევნო უბნების გაფორმებაში, მათ აგრეთვე უნდა ჩამოაყალიბონ მხატვრული და სპორტული ბრიგადები ამომრჩეველთა კულტურული მომსახურებისათვის.

სპორტულმა საზოგადოებებმა, უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრებმა ამჟამად მთელი ყურადღება არდადეგების სანიმუშოდ ჩატარებაზე უნდა გადაიტანონ. მათ უნდა იზრუნონ, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ ნაყოფიერი დასვენების ყოველგვარი პირობა, რაც შემდგომი მაღალი აკადემიური მოსწრების საწინდარი იქნება.

ჩვენი სამშობლოს სამხრეთში განსაკუთრებით საქართველოს ბევრ რაიონში, დღემდე არ მოსულა თოვლი, გრძელდება შეხვედრები სპორტის ზაფხულის სახეობებში, ეწყობა შეჯიბრებები ფეხბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში.

სურათზე: (ზევით) ამას წინათ სვერდლოვსკში მოეწყო მოციგურეთა 5 ქალაქის მატჩი. დისტანციაზეა ქალთა შორის 500 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ლენინგრადელი ლ. სელიხოვა. (ქვევით) თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ამ დღეებში ჩატარებული სპორტსკოლის I და II ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი.

საბჭოთა სამშობლოს ჩრდილოეთში დიდი ხანია თავის უფლებებში შევიდა ზამთრის სპორტული სეზონი. თხილამურების ნაკვალევით დაიფარა ველ-მინდვრები. საციგურაოებზე დასრიალებენ ჭაბუკები და ქალიშვილები.

მოსკოვში, ლენინგრადში, სვერდლოვსკში, გორკსა და ჩრდილოეთის სხვა ქალაქებში სპორტის მოყვარულთა ყურადღებას იპყრობს საკავშირო პირველობა ჰოკეიში. მიმდინარეობს ახალგაზრდობის ზამთრის სპორტული თამაშობანი და მრავალი სხვა ღონისძიება.

მაღალმთიან საციგურაოზე

ალმა-ატა. აქ დიდიხანია სავარჯიშოდ ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოციგურეები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო შეხვედრებში. მათ შორის არიან მსოფლიოს გასული წლის ჩემპიონები ბ. შილკოვი და ლ. სელიხოვა, სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი რ. ჟუკოვა, მსოფლიო პირველობის პრიზიორები ო. გონჩარენკო, ე. გრიშინი, [illegible]. კონდაკოვა, მსოფლიოს რეკორდსმენები ი. სერგეევი, ვ. ჩაიკინი და სხვები.

წელს ყაზახეთმა პირველად მიიღო საზღვარგარეთის მოციგურეები. აქ ჩამოვიდნენ პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები.

სახალხო-დემოკრატიის ქვეყნების სპორტსმენები ივარჯიშებენ და მონაწილეობას მიიღებენ შეჯიბრებაში ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ტრადიციულ ჯილდოზე, რომელიც 5 წლის წინ, მაღალმთიანი საციგურაოს გახსნის დღეს დაწესდა. მეხუთე შეჯიბრება ამ ჯილდოზე იქნება შვიდი ქვეყნის პირველი საერთაშორისო შეხვედრა.

პროგრამაშია დიდი მრავალჭიდი ვაჟებისათვის და მცირე მრავალჭიდი—ქალებისათვის. დღეს პირველად სტარტი მიეცა ვაჟებს 500 და 5000 მეტრზე. 10 იანვარს — 1500, 10.000 მეტრზე. შემდეგ ორ დღეს ერთმანეთს შეეჯიბრებიან ქალები 500, 1500, 1000 და 3000 მეტრზე, ხოლო 12 იანვარს შედგება ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება 1000 და 3000 მეტრზე სრიალში.

იანვრის მეორე ნახევარში აქვე ჩატარდება სსრ კავშირის პირადი პირველობა ციგურებით რბენაში.

ვარშავა-მინსკი

29 დეკემბერს ვარშავაში დაიწყო ბელორუსიისა და პოლონეთის მოჭადრაკეების ამხანაგური შეჯიბრება.

მატჩზე დასასწრებლად შეიკრიბა პოლონეთის დედაქალაქის სპორტული საზოგადოებრიობა. საზეიმო გახსნის შემდეგ დაიწყო პირველი ტური.

ვარშავის გუნდი გამოვიდა გაძლიერებული შემადგენლობით. პირველ დაფაზე თამაშობდა პოლონეთის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი სლივა (კრაკოვი), მეორეზე—ვიტკოვსკი, მესამეზე — ტარნოვსკი (კრაკოვი), მეოთხეზე — გავლიკოვსკი, მეხუთეზე — გრომეკი (ლუბლინი), მეექვსეზე — ბრანიცკი-გრიმფელდი, მეშვიდეზე — პოლონეთის ჩემპიონი ქალთა შორის კრისტინა ჰოლუი.

მინსკის გუნდის შემადგენლობაში არიან: გროსმაისტერი ბოლესლავსკი, ოსტატები: სუეტინი, სოკოლსკი, საიგინი, ვერესოვი, გოლდენოვი და კირა ზვორიკინა.

საბჭოთა მოჭადრაკეებმა ექვსი პარტია მოიგეს და ერთი (ტარნოვსკი-სოკოლსკი) ყაიმით დაამთავრეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვერესოვის მიერ განხორციელებული ლამაზი, შორსგათვლილი კომბინაცია გრომეკის წინააღმდეგ, რომელიც 24-ე სვლაზე ბელორუსელი ოსტატის გამარჯვებით დამთავრდა.

მატჩის მეორე ტური შედგა 2 იანვარს. 7 პარტიაში საბჭოთა მოჭადრაკეებმა ორი მოიგეს (ზვორიკინამ და გოლდენოვმა) და დანარჩენი 5 — ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, ვარშავა-მინსკის ამხანაგური მატჩის საერთო ანგარიშია 11 : 3 ბელორუსიის დედაქალაქის მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

ფარიკაობის ტექნიკისა და ტაქტიკის შესახებ

საფარიკაო ტექნიკა მრავალფეროვანი და ზუსტია. თუ მოფარიკავე მას სრულყოფილად არ დაეუფლება, ვერ შეძლებს ჩაატაროს რთული ტაქტიკური თამაში. საფარიკაო ტექნიკის სიზუსტე და სირთულე მოითხოვს სრულწლიურ ვარჯიშს, ოსტატობის მუდმივი დონის შენარჩუნებისათვის, რასაკვირველია, მისი სრულყოფისათვის. ეს ჭეშმარიტება ეჭვს არ იწვევს იმ ადამიანებში, რომელთა მუშაობა დაკავშირებულია სხვადასხვა მოძრაობის შესრულებასთან, რომლებიც საჭიროებენ დიდ სიზუსტესა და რიტმს, ტემპსა და ძალას. მაგრამ საოცარი ის არის, რომ მას ჩვენში უგულებელყოფენ მოფარიკავეები.

იარაღით საბრძოლო მოძრაობის არასიზუსტე შედეგია არამარტო დროის ნაკლებობისა, რასაც ჩვენი მოფარიკავეები ხარჯავენ ტექნიკური წვრთნისათვის, ეგრეთწოდებული „სკოლისათვის“, არამედ აგრეთვე შედეგია ჩვენი მწვრთნელების არასაკმაო ყურადღებისა კუნთოვანი შებორკილობის დაძლევისადმი, მოძრაობის მოქნილობისადმი, საბრძოლო მოქმედების რიტმისა და ტემპის დაუფლებისადმი.

ბევრი ჩვენი მოფარიკავე ბრძოლაში შებორკილია. ჩვენი მებრძოლების ეს ნაკლოვანება თვალში გვეცა უნგრეთის საფარიკაო სპორტის საუკეთესო წარმომადგენლებთან ბრძოლების დროს. ერთის მხრივ თავისუფალი დგომი, იარაღით მოქნილი მოძრაობა და თითქმის უხმაურო, მსუბუქი გადანაცვლება ფეხებისა, მეორეს მხრივ — დაძაბული სტატიკა, რომელსაც ცვლიდა ასევე დაძაბული მოძრაობა.

თავდასხმის მომზადება, ეგრეთწოდებული იარაღითა და ფეხებით თამაში (ჩვენი მოფარიკავეების) უნდა გამდიდრდეს მოძრაობათა დიდი მრავალფეროვნებით, რიტმისა და კუნთოვანი დაძაბულობის ხარისხის დაუფლებით, კონკრეტული ტაქტიკური ამოცანების მრავალფეროვნებით.

დარტყმებში და უმთავრესად ჩხვლეტებში ჩვენს მებრძოლებს ახასიათებთ უხეში ნაკლოვანება — იარაღიანი ხელის გამართვა წინ უნდა უსწრებდეს ვარდნას.

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება ჩვენი მოფარიკავეების მიერ ჩხვლეტის შესრულება. ჩხვლეტის დამამთავრებელ მდგომარეობაში რაპირებით მებრძოლთა უმეტესობის მტევანი და მაშასადამე საფარიც მისი იარაღიანი მხარის ხელის ზევით აღმოჩნდება ხოლმე. მიზანშეწონილი კი არის, რომ ჩხვლეტის შესრულებისას მტევანი დატოვებული იქნეს მხარის დონეზე.

ამის შედეგად ჩხვლეტის საბოლოო მდგომარეობაში მტევანი და საფარი აღმოჩნდება გაზნექილი მახვილის ქვევით, მისი წვერის გამოკლებით, რომელიც იმყოფება ფართან ერთ დონეზე. ამ დროს იქმნება ქვევიდან ჩხვლეტის შთაბეჭდილება, თუმცა სინამდვილეში მოცემულ შემთხვევაში რაპირა მოძრაობს წინ, ჰორიზონტალურ სიბრტყეში.

მოფარიკავეებს არსებითი ნაკლოვანებები აქვთ ვარდნის შესრულებისას, რაც შედეგია მცდარი შეხედულებებისა, რომლებიც „ფეთქებად იერიშს“ ნერგავენ, როგორც საფარიკაო ბრძოლის ძირითად სახეობას. ჩვენს ოსტატებს, რომ დააკვირდეთ, ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ იერიშის დროს ისინი ცდილობენ რადაც არ უნდა დაუჯდეთ იარაღით „მიწვდნენ“ მოწინააღმდეგეს და ამიტომ ტანს ზომაზე მეტად ხრიან წინ.

უნგრელ მოფარიკავეებთან შეხვედრების პრაქტიკამ ნათელყო, რომ ყველაზე მიზანშეწონილია ისეთი ვარდნა, რომლის საბოლოო მდგომარეობაში უკან დადგმული გამართული ფეხი წარმოადგენს ერთ სწორ ხაზს წინ გადადგმული ფეხის ბარძაყთან. მენჯი ამ დროს იმყოფება გამოღუნული ფეხის მუხლს ქვევით, ამ ფეხის წვივი ვერტიკალურადაა გამართული, ხოლო ტანი ოდნავაა წინ წახრილი. წარმატებული იერიშის დროს ეს მოფარიკავეს თავდაცვის საშუალებას აძლევს. რასაკვირველია, მოფარიკავე ვარდნის ასეთ საბოლოო მდგომარეობას ვერ მიაღწევს, თუ იგი სპეციალურად არ დაამუშავებს მენჯ-ბარძაყის სახსრების დამაკავშირებელ აპარატს, რათა გაადიდოს მათი მოძრაობის ამპლიტუდა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ესპადრონით ბრძოლის წესებით არ ხდება სიბრტყით დარტყმის ჩათვლა. მაგრამ საერთაშორისო მსაჯობის პრაქტიკაში ყველა დარტყმა დამოუკიდებლად იმისა შესრულებულია ისინი სიბრტყით თუ პირით, მაინც ჩაითვლება.

აქედან გამომდინარე საბჭოთა მეესპადრონეები გადავიდნენ ბრძოლის წარმოების საერთაშორისო პრაქტიკაზე და დაიწყეს ხელზე გარშემოკრული დარტყმების გამოყენება, განსაკუთრებით კონტრიერიშების დროს და უპირატესობას ანიჭებენ რამდენადმე უფრო ელასტიკურ მახვილს. ხელზე სიბრტყით დარტყმის წარმატებით გამოყენებამ აიძულა ესპადრონისტები საბრძოლო დგომისას იარაღები დააცილონ ერთმანეთს. ამან კი შეუძლებელი გახადა ბრძოლისას იარაღის გადაჯვარედინება და ჩახვევის გამოყენება. აქედან წარმოიქმნა ბრძოლის განსაზღვრული ტექნიკური და ტაქტიკური მანერა.

ელვისებური იერიშების ტექნიკამ ცვლილება განიცადა. წინათ გავრცელებულმა აზრმა, რომ ელვისებური იერიში უნდა სრულდებოდეს ფრენისას და წინ დიდი გარბენით, ვერ ჰპოვა დადასტურება სპორტულ პრაქტიკაში, ვინაიდან თანამედროვე საერთაშორისო წესებით გვერდით გარბენილი მოწინააღმდეგის ზურგში ჩხვლეტა ჩაითვლება. ეს მებრძოლს აიძულებს ელვისებური იერიშის შესრულების შემდეგ ერთბაშად გაჩერდეს და განაგრძოს თავდაცვა.

უკანასკნელი წლების პრაქტიკამ აჩვენა იარაღით მოწინააღმდეგის მოგერიებით დაცვების შესრულებაზე ჩვენი შეხედულებების მცდარობა. ეს იწვევს ხელის კუნთების ზედმეტ დაძაბულობას, მოძრაობის ფართო ამპლიტუდას, აყოვნებს საპასუხო იერიშს. სწორად იქცევიან ის მოფარიკავეები, რომლებიც დაცვისას მახვილს არ ამოძრავებენ მოწინააღმდეგის იარაღის შესახვედრად, არამედ დარტყმას ელოდებიან განსაზღვრულ პოზიციაში.

ესპადრონით ფარიკაობაში თავდაცვამ განიცადა ყველაზე მეტი ცვლილებები. ექვსი დაცვიდან, რომლებსაც წინათ ჩვენი მოფარიკავეები იყენებდნენ, დარჩა სამი. მათ მიეკუთვნება „მესამე“, რომელიც იფარავს მებრძოლის მარჯვენა მხარეს, „მეოთხე“ — იფარავს მარცხენა მხარეს და „მეხუთე“ იფარავს ზემოდან დარტყმისაგან.

წრიული დაცვების გარდა, უკანასკნელ დროს სპორტული პრაქტიკა იცნობს სხვა დაცვასაც, როცა მახვილის წვერი ხაზავს ლათინურ ასოს „V“. ამ დაცვას შესანიშნავად არიან დაუფლებული უნგრელი მოფარიკავეები. მაგალითად—კოვაჩი.

ასეთი დაცვისას წინამხარი ადგილზე რჩება, ისინი მახვილის წვერს ქვევით სწევენ 20-30 სანტიმეტრით, შემდეგ მკვეთრად ზეაღმართავენ, თან იტაცებენ მოწინააღმდეგის იარაღს და გადააქვთ იგი მარჯვნივ ან მარცხნივ. ამ დროს მახვილი ჰქმნის ერთ ხაზს წინამხართან, რომელიც ინერციით ზევით მოძრაობს და ზოგჯერ თითქმის ვერტიკალურ მდგომარეობას იღებს. ტაქტიკური თვალსაზრისით ასეთი დაცვის გამოყენება უფრო მიზანშეწონილია მოწინააღმდეგესთან დახლოების დროს.

უნგრელებთან საერთაშორისო შეხვედრების პრაქტიკამ გამოავლინა, რომ რაპირებით ბრძოლებისას დაცვა წარმოებს არა მარტო იარაღით, არამედ იარაღიანი ხელის მხრით და წინამხრით, ვინაიდან საზღვარგარეთ თვლიან, რომ წესებით აკრძალულია უიარაღო ხელით დაცვა, მაგრამ იარაღიანი ხელით ასეთი დაცვა შეიძლება. ეს მანერა წარმატებით გადმოიღეს მთელმა რიგმა ჩვენმა ოსტატებმა — ბოკუნმა, მიდლერმა, ურალოვმა, მეითარიანმა და სხვებმა.

დასასრულ საჭიროა გაკეთდეს საერთო დასკვნა, რომ საერთაშორისო შეხვედრებმა მთელი რიგი ცვლილებები შეიტანეს საბჭოთა მოფარიკავეების ტექნიკასა და ტაქტიკაში. ამან კი დადებითი გავლენა მოახდინა საბჭოთა მოფარიკავეების კლასის ამაღლებაზე.

ა. ისლამოვი,

მწვრთნელი ფარიკაობაში.

აქტივის კრებაზე

გორი. (ჩვენი კორ.). ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შედგა ქალაქის ფიზკულტურულ-კომკავშირული აქტივის კრება.

კრება გახსნა საქ. ალკკ გორის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ზ. ობოლაძემ. მოხსენებით „ქალაქში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ“ გამოვიდა გორის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. მეყანწიშვილი, რომელმაც ამხილა ქალაქის სპორტული საზოგადოებების, წარმოება-დაწესებულებებისა და სკოლების ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, ჩამორჩენის მიზეზები და ჩატარებულ ღონისძიებათა არაორგანიზებულობა. აღინიშნა, რომ სპორტული საქმიანობის უკეთ მოწყობისათვის „დინამო“, „პიშჩევიკი“ და სხვები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სპორტსმენთა ფართო ფენების დაოსტატების საქმეს და კმაყოფილდებიან თითო-ოროლა სპორტული სექციის მუშაობით. ყურადღება არ ექცევა ველოსპორტის, კლასიკური ჭიდაობის, კრივის, ფარიკაობის, ჩოგბურთის სექციებს. სუსტია კომკავშირული ორგანიზაციებისა და ფიზკულტურის ძირეული საბჭოს ურთიერთდახმარება სპორტის აღმავლობის საქმეში, რაც ხელს უშლის მათ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებას.

კამათში გამოსულმა სპორტსკოლის დირექტორმა კ. ხუციშვილმა, ბამბეულის კომბინატის წარმომადგენელმა ტრეტიაკოვმა, პედინსტიტუტის წარმომადგენელმა გ. მგალობლიშვილმა და სხვებმა მიუთითეს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. აღინიშნა, რომ „კრასნოე ზნამიას“ რესპუბლიკური საბჭო სუსტად ეხმარება გორის ბამბეულის კომბინატს, ქალაქში არ იგრძნობა სათანადო ზრუნვა მძლეოსნობის განვითარებისათვის. აქტივის კრების მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. გორის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ი. სავანელმა. კრებამ მომავალი წლის სპორტულ სეზონში წარმატების მოპოვებისათვის მიიღო სათანადო ღონისძიება.

ა. გელაშვილი.

საჩუქარი ონელ სპორტსმენებს

ამას წინათ კარგი საჩუქარი მიიღეს ონის რაიონის მოსწავლე ფიზკულტურელებმა: კაპიტალურად შეკეთდა რაიონული სპორტდარბაზი, შეძენილია ახალი ინვენტარი. კარგი ინიციატივა გამოიჩინა ონის პირველი საშუალო სკოლის დირექციამ, რომელმაც სკოლის ეზოში მოაწყო ტანვარჯიშული ბაქანი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. ინვენტარით აღჭურვილი ახალი სპორტული დარბაზი აგრეთვე გადაეცა სოფელ პიპილეთის საშუალო სკოლასაც.

ა. მეტრეველი

ტანვარჯიშში

◇

6 იანვრიდან თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, პიონერთა სასახლისა და სპორტსაზოგადოება „პიშჩევიკის“ სპორტულ დარბაზებში მიმდინარეობს მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკური შეჯიბრება.

შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის 250-მდე უძლიერესი სპორტსმენი ჭაბუკი და ქალიშვილი. შეჯიბრების მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედიან თბილისის განათლების განყოფილების, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თბილისის საბჭოს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აგრეთვე ქუთაისისა და გორის კოლექტივები.

მეორე ჯგუფში არიან ახალციხის, თელავის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ონის, დუშეთისა და ხაშურის რაიონების გუნდები.

შეჯიბრების მთავარი მსაჯია რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გ. ჭილაია.

პირველობა დღეს დამთავრდება.

სურათზე: ბათუმელი ს. ლოგინოვა ორძელზე ვარჯიშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

◇

იარაღებთანაა მოსწავლეები

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტდარბაზში 4 დღეს გრძელდებოდა ქალაქის მოსწავლეთა პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა თბილისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშის ცენტრალური სპორტსკოლის 500-მდე მოსწავლე.

შეჯიბრებამ მრავალი მაყურებელი მიიზიდა. პირველად იარაღებთან მივიდნენ დამწყები ტანმოვარჯიშეები. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია შეჯიბრების ყველაზე ნორჩი მონაწილე გოგონას ი. მახარაძის გამოსვლამ. მან დამწყებთა შორის დაიკავა პირველი ადგილი. მესამეთანრიგოსან გოგონებს შორის გამარჯვებული გამოვიდა ლ. შენგელია, მეორეთანრიგოსნებიდან — ვ. აბოვიანი, ხოლო პირველთანრიგოსნებიდან — ე. სიდამონიძე. ოსტატთა პროგრამით მხოლოდ სამი სპორტსმენი მონაწილეობდა. გაიმარჯვა ტ. კომისარენკომ.

დიდი ინტერესი გამოიწვია ჭაბუკ ტანმოვარჯიშეთა გამოსვლებმა. დამწყებთა შორის პირველი ადგილი წილად ხვდა ვ. ლომინაძეს. მესამეთანრიგოსნებიდან ყველას აჯობა დ. მალალაშვილმა, მეორეთანრიგოსანთა შორის გაიმარჯვა მ. გოცირიძემ. ლამაზი და მიმზიდველი იყო პირველთანრიგოსან ჭაბუკთა გამოსვლები. ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა დააგროვა ბ. იაგუტოვმა. მომდევნო ადგილებზე არიან რ. კობახიძე და უ. ბედიაშვილი. ოსტატთა პროგრამით მონაწილეთა შორის გაიმარჯვა ვ. ხაბეიშვილმა.

გუნდურ ჩათვლაში დამწყებ ქალთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა 59-ე ჯგუფი (მწვრთნელი დ. ლორთქიფანიძე), მესამე თანრიგოსნებიდან — 58-ე ჯგუფი (მწვრთნელი ნ. გოგილაშვილი), მეორეთანრიგოსნებიდან — 66-ე ჯგუფი (მწვრთნელი ნ. ბახუტაშვილი), პირველთანრიგოსნებიდან — 35-ე ჯგუფი (მწვრთნელი გ. პაპალაშვილი). ჭაბუკებიდან დამწყებთა შორის გუნდურ პირველ ადგილზე გამოვიდა მე-60 ჯგუფი (მწვრთნელი კ. ზაალიშვილი), მესამეთანრიგოსნებიდან გაიმარჯვეს 24-ე ჯგუფის ტანმოვარჯიშეებმა (მწვრთნელი ა. პაპალაშვილი), მეორეთანრიგოსნებიდან 31-ე ჯგუფმა (მწვრთნელი შ. კაკაურიძე), პირველთანრიგოსნებიდან — პირველმა ჯგუფმა (მწვრთნელი კ. გრომოვი).

დასასრულს მოეწყო მონაწილეთა პარადი. გამარჯვებული ტანმოვარჯიშეები დაჯილდოვდნენ თბილისის განათლების განყოფილების დიპლომებით, გუნდები — გარდამავალი ვიმპელებით, ხოლო მწვრთნელები— სიგელებით.

ა. ხუჩუა

პროფკავშირების პირველობა

დამთავრდა პროფკავშირების რესპუბლიკური პირველობა ტანვარჯიშში. შეჯიბრებაზე სრული გუნდები გამოიყვანეს „მედიკმა“, „ისკრამ“, „ბურევესტნიკმა“, „პიშჩევიკმა“. არასრული კოლექტივი წარმოადგინა „ტრუდმა“. გაკვირვება გამოიწვია „ნაუკისა“ და „უროჟაის“ გუნდების საქციელმა, რომლებმაც განაცხადი წარუდგინეს მსაჯთა კოლეგიას და შეჯიბრებაზე არ გამოვიდნენ.

პირველი ადგილი დამსახურებულად დაიკავეს „მედიკის“ სპორტსმენებმა. მეორე ადგილი წილად ხვდა „ბურევესტნიკის“, მესამე — „პიშჩევიკის“ გუნდებს. გასული წლის ჩემპიონი — „ისკრის“ ტანმოვარჯიშეთა კოლექტივი გამოვიდა მეოთხე ადგილზე.

პირად ჩათვლაში ადგილები შემდეგნაირად განაწილდა. ვაჟთა შორის (პირველი თანრიგი) გაიმარჯვა ძებისაშვილმა („მედიკი“) — 110,3 ქულა. ამავე საზოგადოების წარმომადგენელს გვეტაძეს ჰქონდა 109,2 ქულა. მას 3,9 ქულით ჩამორჩა „ისკრის“ ტანმოვარჯიშე წერეთელი. ქალთა შორის უკეთესი მომზადება გამოავლინა ხალათოვამ („მედიკი“); მომდევნო ადგილები წილად ხვდათ ფერაძეს (ფიზკულტურის ტექნიკუმი) და მიხაილოვას („ტრუდი“).

აღნიშნულ ღონისძიებაში სულ 55 სპორტსმენი მონაწილეობდა. ამათში 6 ოსტატის პროგრამით და 16 პირველი თანრიგით. მონაწილეთა მთელი რიცხვიდან თანრიგისათვის საჭირო ქულა 28 ტანმოვარჯიშემ დააგროვა.

შეჯიბრების ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში რაიონებიდან მხოლოდ რამდენიმე სპორტსმენი გამოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო პროფკავშირების რესპუბლიკური პირველობა.

ქ. გვეტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გვწერენ

ნაყოფიერად მუშაობენ

წელიწადნახევარია, რაც ხაშურის აიონის სოფელ ბეკამის სტალინის ახელობის კოლმეურნეობაში ჩამოალიბდა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი, რომელიც 47 ფიზკულტურელს აერთიანებს. ახალგაზრდების ინიციატივითა და კოლმეურნეობის გამგეობის დახმარებით სოფელში მოეწყო ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნობის სექტორი. შეიქმნა სპორტული სექციები, შეიძინეს ინვენტარი.

ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა სოფლის ფეხბურთელთა გუნდმა, რომელმაც 18 ამხანაგური შეხვედრიდან 16 მოიგო. ამ წარმატებისათვის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა ბეკამელების გუნდი დიპლომით დააჯილდოვა. კარგად მუშაობს მძლეოსნობის სექციაც, რომელსაც ფიზაღზრდის ხაშურის პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებული გ. ბულაძე ხელმძღვანელობს. ბევრ ახალგაზრდას იზიდავს საჭადრაკო სექცია. ამას წინათ ჩატარებულ სოფლის პირველობაში გამარჯვებული გამოვიდა კოლმეურნეობის მეწისქვილე გ. ბლიაძე.

ბეკამელ ფიზკულტურელებს გადაწყვეტილი აქვთ უფრო ნაყოფიერი მუშაობა გაშალონ მომავალ სპორტულ სეზონში.

დ. ფარემუზოვი

ზამთრის თამაშები გრძელდება

კომკავშირის გალის რაიკომის ბიურომ განიხილა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ზამთრის ახალგაზრდული თამაშების ჩატარების შესახებ, დასახა სათანადო ღონისძიება და შეუდგა მის განხორციელებას. უკვე ჩატარდა კალათბურთელთა შეჯიბრება, რომელშიც რაიონის 13 სკოლა მონაწილეობდა. გამარჯვებული გამოვიდა გალის მე-3 საშუალო სკოლის გუნდი, მეორე ადგილზე არიან ოქუმელი მოსწავლეები.

ფრენბურთელთა შეხვედრებში ჭაბუკთა შორის ყველას აჯობეს ოქუმის, გოგონათა შორის — ნაბაკევის სკოლის მოსწავლეებმა. წარმოება-დაწესებულებებს შორის გამარჯვებული გამოვიდნენ მეხანძრეთა რაზმის წარმომადგენლები. გაიმართა ტურისტულ-ალპინისტური ლაშქრობა. მონაწილეებმა გაიარეს 150 კილომეტრი და ავიდნენ მწვერვალ ანარაზე.

გეგმით მსროლელთა შეჯიბრება უნდა გამართულიყო დეკემბერში, მაგრამ იმის გამო, რომ დოსააფის აფხაზეთის კომიტეტმა ვერ შეძლო რაიონის მომარაგება ინვენტარით, ღონისძიება არ ჩატარდა.

ზამთრის თამაშები გრძელდება.

გ. ალფერიძე

საზოგადოება არ გვეხმარება

დამთავრდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის, გამომცემლობისა და პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ მაგიდის ჩოგბურთელთა 1954 წლის პირველობა.

საინტერესო გამოდგა შეჯიბრება ვაჟთა შორის. რედაქციის წარმომადგენელმა ა. კუსრაშვილმა და პოლიგრაფკომბინატის მაგიდის ჩოგბურთელმა გ. თხილავამ ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში კუსრაშვილმა დაამარცხა თხილავა და გაინაღდა პირველი ადგილი. მეორე ადგილი წილად ხვდა თხილავას. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ვ. ოთარაშვილი, ნ. განუგრავა და ა. გოგოლაშვილი.

ქალთა შორის ჩემპიონის სახელი დაიმსახურა გ. კასაბაშვილმა (რედაქცია), მეორე ადგილი წილად ხვდა ნ. ბოკერიას (რედაქცია).

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ორგანიზაციას არასაკმაო ყურადღებას აქცევს სპორტსაზოგადოება „ნაუკა“. საზოგადოების წარმომადგენელი მხოლოდ ორჯერ ესტუმრა მათ და ისიც ძირეული ფიზკულტურული ორგანიზაციის ჩამოყალიბების და შემდეგ საანგარიშო-საარჩევნო კრების დროს.

გ. თხილავა

რას ფიქრობენ...

სტალინირის ფიზკულტურული კოლექტივები მოუმზადებელი შეხვდნენ ზამთრის სპორტულ სეზონს. სპორტულმა სექციებმა სპორტდარბაზების უქონლობის გამო მუშაობა შეწყვიტეს მესამე და მეოთხე საშუალო სკოლების, ზოოვეტტექნიკუმის, პედსასწავლებლის, მექანიკური ქარხნის, ხე-ტყის კომბინატისა და [illegible]. ფიზკულტურულ კოლექტივებ[illegible] ზამთრის პერიოდში საშუალო [illegible]წავლებლებში ფიზკულტურის გაკვეთილები დერეფნებში ან საკლასო ოთახებში ტარდება, რაც გავლენას ახდენს მათ ხარისხზე.

სტალინირში ძლიერ კოლექტივად ითვლება პედინსტიტუტი, მაგრამ ზამთრის სპორტული სეზონისათვის თავი არც აქ შეიწუხეს. დღემდე არც ერთი წყვილი თხილამური არ შეუძენიათ. ინვენტარის ნაკლებობას განიცდიან სპორტსაზოგადოებებიც.

ვ. მელქოევი

◆

წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 14 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი იყო მამხილებელი წერილი „სად ვისადილოთ?“. წერილი ეხებოდა სასადილოების ტრესტის მარჯვენა სანაპიროს მე-17 სასადილოს ფილიალს, რომელიც ცუდ მომსახურებას უწევდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტს.

როგორც საქართველოს კომპარტიის კიროვის სახელობის რაიკომის მდივანი ამხ. ზ. კვაჭაძე გვატყობინებს, კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. სუსტი მუშაობისათვის მებუფეტე ლობჟანიძე განთავისუფლებულია სამუშაოდან.

• • •

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენი გაზეთის მკითხველი გვატყობინებდა, რომ სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაშლილია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა.

როგორც საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის მდივანი ამხ. ზ. ბიძინაშვილი გვატყობინებს, კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ამჟამად მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

პლენუმი

14 იანვარს თბილისში „დინამოს“ სტადიონის სპორტის ოსტატთა კლუბში ჩატარდება ფეხბურთის რესპუბლიკური სექციისა და მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის პრეზიდიუმის გაერთიანებული პლენუმი. დღის წესრიგი: სექციის მუშაობის ანგარიში 1954 წლის მანძილზე. მოსმენილ იქნება აგრეთვე მსაჯთა კოლეგიისა და მწვრთნელთა საბჭოს ანგარიშები.

ორი მეგობარი

◆

უნგრეთის სპორტმა ბოლო წლების მანძილზე დიდ წარმატებებს მიაღწია მსოფლიო ასპარეზზე. მრავალრიცხოვან საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობენ უნგრელი სპორტსმენები და თითქმის ყოველთვის შესანიშნავი მიღწევებით ამთავრებენ მათ.

1948 წელს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე უნგრელებმა 10 პირველი ადგილი დაიკავეს, 1952 წელს ჰელსინკში კი მოიპოვეს 16 ოქროს, 10 ვერცხლისა და 16 ბრინჯაოს მედალი. 69 სახელმწიფოს სპორტსმენთა შეჯიბრებაში უნგრელები ჩამორჩნენ მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებს და გაუსწრეს შვეციის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, კანადისა და სხვა გუნდებს.

1954 წლის მანძილზე უნგრელი სპორტსმენები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ ტანვარჯიშში, ფარიკაობაში, ჭიდაობაში, თანამედროვე ხუთჭიდში. მეორე ადგილი დაიკავეს ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატში. ბოლო 5 წლის განმავლობაში უნგრელებმა დაამყარეს 21 მსოფლიო რეკორდი.

ამას წინათ დიორდ სეპეშისა და ლასლო ლუკაჩის რედაქციით რუსულ ენაზე გამოვიდა წიგნი „ლაპარაკობს 25 უნგრელი სპორტსმენი“, რომელშიც მოთავსებულია ნარკვევები უნგრული სპორტის 25 საუკეთესო წარმომადგენელზე.

ჩვენმა რედაქციამ გადაწყვიტა გამოაქვეყნოს რამდენიმე საუკეთესო ნარკვევი ამ წიგნიდან.

◆

ფ. პუშკაში

★

ორი ბიჭი ერთმანეთის პირისპირ დგას. ერთ-ერთ მათგანს ხელები ზურგს უკან უწყვია — მას კარგა ხნის განმავლობაში ერთი ხელიდან მეორეში გადაჰქონდა პატარა კენჭი, მერე საბოლოოდ გადაიტანა იგი მარცხენაში, გადააჯვარედინა ორივე ხელი და ჯიქურ გაუწოდა მოპირდაპირეს:

— აირჩიე!

მეორე ბიჭი მის წინ მამლაყინწასავით აქოჩრილი დგას და დიდხანს ეჭვის თვალით უცქერის მომუჭულ ხელებს, მერე ხმის ამოუღებლად ურტყამს სწორედ იმ ხელს, რომელშიც კენჭი დევს. მის სახეზე ჩუმი ღიმილი ისახება.

— ჰე, ჰე, მე ვირჩევ — პუშკაში!

მაშინვე მის ზურგს უკან გამოჩნდა ისეთი პატარა ბიჭი, რომ თავისთავად წარმოგექმნებოდა სურვილი დაგეძახა მისთვის: „ცეროდენა“.

ის, რომელმაც პირველი ამორჩევის უფლება დაკარგა, ჯერ მოიღუშა, მაგრამ წამსვე გაუნათდა სახე.

— ბოჟიკი! — სიხარულით წამოიძახა მან.

ახლა მის უკან გამოჩნდა ბიჭი — თმაქოჩორა, შავტუხა, ცისფერთვალებიანი და პუშკაშის პირდაპირ გამომწვევი სახით დადგა.

ბუდაპეშტის გარეუბანში, კიშპეშტში, პატარა სახლებში, რომლებიც ჩვეულებრივ ერთი ოთახისა და სამზარეულოსაგან შედგება, კალენდრები 1940 წელს აჩვენებდნენ. იმ დროს ფერენც პუშკაში 12 წლისა იყო, იოშკა ბოჟიკი—15-სა. ბალახით მოსილი მოედნები პატარა ერთსართულიან სახლებს შორის თავდავიწყებამდე იზიდავდა კიშპეშტელ ბიჭებს. ყოველთვის, საიდანღაც გაჩნდებოდა ბურთი და იწყებოდა ფეხბურთის მატჩი, რომელიც ადრიან დილიდან, გვიან საღამომდე გრძელდებოდა.

მთავარი და ყველაზე სახლაფორთო საქმე იყო გუნდის წევრების არჩევა. და იმ გარემოებამ, რომ „კაპიტნები“ ყოველთვის ცდილობდნენ პუშკაში და ბოჟიკი ყველაზე ადრე მოეხვედრებინათ თავის გუნდში, ორივეს გაუთქვა სახელი კიშპეშტის მინდვრებზე მდებარე სპორტულ კლუბებში. ამიტომ გასაკვირი არაფერია იმაში, რომ ორივე ბიჭი გარეუბნის მინდვრებიდან პირდაპირ კიშპეშტის ატლეტური კლუბის საფეხბურთო მოედანზე მოხვდა.

ორი მეგობარი — პუშკაში და ბოჟიკი იმ დროიდან კიშპეშტის ფეხბურთელთა პირველი გუნდის უცვლელი წევრები გახდნენ. მალე ეს კოლექტივი, რომელიც უწინ საშუალო გუნდად ითვლებოდა, შევიდა უნგრეთის საუკეთესო გუნდების რიცხვში. იმდროინდელ წამყვან გუნდებსაც კი „ფერენცვაროშს“, „უიპეშტს“, „ხუნგარიას“ ძალების სერიოზული დაძაბვა ჭირდებოდათ იმ გუნდთან წინააღმდეგ თამაშში, სადაც პუშკაში და ბოჟიკი იყვნენ. ორივე ჭაბუკის სპორტული ფორმა დღითიდღე უმჯობესდებოდა, მაგრამ ომმა შეწყვიტა მათი სპორტული კარიერა.

მხოლოდ ომის შემდეგ, 1945 წელს, შეძლო პუშკაშმა პირველად, როგორც უნგრეთის ეროვნული ნაკრები გუნდის წევრმა, ჩაეცვა მაისური თავისი ქვეყნის ღერბით. მატჩში ავსტრიელთა წინააღმდეგ მან მარცხენა შუამარბად ითამაშა და უკვე მაშინ ისახელა თავი, როცა მოწინააღმდეგის კარში შესანიშნავი ბურთი გაიტანა.

მისი მეგობარი იოჟეფ ბოჟიკი უნგრეთის ნაკრები გუნდის წევრი გახდა ორი წლის შემდეგ, 1947 წელს. მაშინ შედგა მატჩი ბულგარეთის ნაკრები გუნდის წინააღმდეგ, რომელიც დამთავრდა უნგრელთა სასარგებლოდ, ანგარიშით — 3:0.

ვენა, პარიზი, ტურინი, ბუქარესტი, მოსკოვი, ბერლინი, სტოკჰოლმი, სოფია, ჰელსინკი, რომი, ყაირო, ლონდონი... რაოდენ შორს წავიდნენ კიშპეშტის პრიმიტიულ მოედნებზე გაზრდილი ბიჭები!

ახლა პუშკაში მსოფლიოში უძლიერესი მარცხენა შუამარბია, ბოჟიკი — მარჯვენა ნახევარმცველი. ამ ადგილებზე ორივე მსოფლიოში პირველ ნომრად გადის.

და მაინც როცა ორი მეგობარი შორეული ქვეყნების მაყურებელთა აღტაცებას იწვევს თავისი თამაშის ბრწყინვალე სილამაზით, თავისი ურთულესი კომბინაციებით, ორივე გონებით შინ იმყოფება — კიშპეშტის ბაღებით შემოჯარულ სახლებში, ნაცნობ, მშობლიურ ქუჩებში, ორივე ფიქრობს იმ მწვანე მოედნებზე სახლებს შუა, სადაც პირველად დაიწყეს ფეხბურთის თამაში.



ოცი წლის წინათ პუშკაშმა გაიტანა გოლი...



...და დღესაც

ი. ბოჟიკი

★

რა თქმა უნდა, არა მარტო ეს სურათები, არა მარტო შორეული ბავშვობის მოგონებაა ამ ორი ახალგაზრდისათვის სამშობლოს სიმბოლო. ფერენც პუშკაშს შესანიშნავი ბინა აქვს დედაქალაქის ცენტრში. დიდი გემოვნებით განლაგებული ავეჯი მეტყველებს, რომ იგი შერჩეულია ისეთი ქალის ხელით, რომელიც კარგად ერკვევა ხელოვნებაში. ერთ-ერთი ოთახის კუთხეში თოჯინებია ჩამწკრივებული: თმიანები, უთმო, თვალხუჭიები. აქვეა ჭურჭელი თოჯინებისათვის, აურაცხელი სათამაშო. ცხადია, ოჯახში არის ბავშვი. მერე როგორი ბავშვი! მართალია, ეს ბავშვი ფეხბურთელი არ გამოვა: უნგრეთის ნაკრები გუნდის შუამარბს, რომელსაც უნგრელი სპორტის მოყვარულები უბრალოდ „ძმობილს“ უწოდებენ, გოგო ჰყავს. მაგრამ თუ ფეხბურთელ პუშკაშს ეს, შეიძლება, გულის სიღრმეში სინანულს გვრის, პუშკაში — მამა ყველაზე ბედნიერი მამაა, ვინაიდან მას ჰყავს ასეთი კარგი 3 წლის გოგონა, დიდი, მრგვალი თვალებით, გასაოცარი ქერა თმით. პუშკაში ისეთივე კარგი მამა და მეოჯახეა, როგორიც ფეხბურთელი. ეს ჩასკვნილი ფეხბურთელი, რომელსაც არ ეშინია ყველაზე მრისხანე ნახევარმცველის, რომელსაც ნირსაც ვერ უცვლის მოწინააღმდეგის გულშემატკივართა 100 ათასიანი ბრბოს ყიჟინა, რომლის სახელსაც შიშით იხსენიებენ ყველა ქვეყნის მეკარეები, ყველაზე მეტ ანგარიშს უწევს და პატივს სცემს ერთ ბუდაპეშტელ ქალს — თავის მეუღლეს.

იოჟეფ ბოჟიკი? იგი — მსოფლიოს უძლიერესი ნახევარმცველი, არის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დეპუტატი. ამაზე მეტი ღირსება წილად არ ხვდომია არც ერთ ფეხბურთელს მსოფლიოში. იგი იმ ადამიანების ინტერესების წარმომადგენელია, რომელთა შორისაც თვითონ გაიზარდა და რომელთა მოსიყვარულე მზრუნველობამ მისგან შექმნა გამოჩენილი ადამიანი, გამოჩენილი ფეხბურთელი.

როცა თავისი ხალხის დავალებით ფერენც პუშკაში ვენას გაემგზავრა, რათა ხალხთა კონგრესზე წარმოეთქვა უნგრელი ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი, იგი სახლში არ იყო სულ რამდენიმე დღეს. უკან დაბრუნების დროს, დედაქალაქთან მიახლოვებისას პუშკაში შუბლით მიეყრდნო ფანჯარას და დიდხანს უცქერდა მატარებლის საწინააღმდეგო მხარეს მქროლ სახლებს, მერე გააღო ფანჯარა, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა.

— კიშპეშტი!..

მრავალნი ცდილობენ მოძებნონ უნგრეთის ფეხბურთელთა უმაგალითო წარმატებების მიზეზები. მათგან ყველაზე მთავარია უნგრელი სპორტსმენების მხურვალე სიყვარული თავისი სამშობლოსადმი, იმ მოედნებისადმი, რომლებზეც ისინი პირველად იწყებდნენ ფეხბურთის თამაშს.

ი. ჩილაგი

• • •

მეგობრული შარჟები ამოღებულია წიგნიდან — „ლაპარაკობს 25 უნგრელი სპორტსმენი“.



სლალომის ტრასაზე ნახ. მ. აბაშიძისა.

ბაკურიანი გვემახის

ბაკურიანი გვემახის, გადათოვლილა სერები,
თვალის მომჭრელად ბრწყინავენ ნაძვნარიანი ველები.
მოფრენენ თოვლის ფიფქები მიწას ეკვრიან შრიალით,
ყალთაღებს გააქვს ქათქათი, ქარაფებს—თეთრად ბრიალი.
დამდგარან მთანი მდუმარედ, ჩასძინებიათ ქანჩახებს,
არც ხევში წყალი ხმაურობს, აღარც ჩანჩქერი ჩახჩახებს.
მთისკენ მიდენის ნელ-ნელა ნისლებს სინათლე დილისა,
შეხედავ კვალი არა ჩანს ფეხმარდი მონადირისა.

თავს ვერ გაუგებ თოკივით მთაზე დაკიდულ ბილიკებს,
ფრიალო სანაპიროზე ურიცხვ ნაძვებს რომ ირიგებს.
მაგრამ ვგრძნობ იაგორას ველს ყიჟინა როგორ ედება,
ზამთარიაო და თითქოს დაიგუგუნეს ქედებმა.

უსმინეთ წუთით, მათ ხმაზე ეს გული როგორ გაოცდა,
ამ ველზე უნდა გამოჩნდეს გამძლე მკლავ-მუხლის
გამოცდა,
სადა ხართ, მოდით, თქვენ გელით ტრამპლინი მართლაც
მაღალი,
ჯერაც ფეხდაუკარები, მხრეზე თოვლგადანაყარი.
ხედავთ! ყოველი მაღლობი თქვენ გელით, თქვენ,
ფეხფრთიანებს,
თქვენი ხტომა და გაფრენა ცხრა ცის თაღს შეახმიანებს,
შეაჟრიალებს თეთრ ღრუბლებს მთაზე სათოვად
წამოშლილს,
დაე მათ თვითონ გაიგონ მჯობნი რომ არ გყავთ სლალომში.
მაშ მოდით, ჰეი, ჩამწკრივდით დედასამშობლოს მართვენი,
მზად არის სიჭაბუკის და სიცოცხლის გადასაფრენი.

ვ. ყუშიტაშვილი

„ახალ წლამდე" ამოხსნეს

ჩვენი გაზეთის 1954 წლის 26 დეკემბრის ნომერში მოთავსებულ გ. კაკიტაძის წერილზე „ახალ წლამდე" ალიოხინის პარტიიდან მოყვანილი პოზიციის სწორი პასუხი ახალ წლამდე გამოგზავნეს: კ. იჭირაულმა (ახმეტის რაიონი), შ. გორძელაშვილმა (გურჯაანის რაიონი), კ. სიმონოვმა, ა. კირვალიძემ (თელავის რაიონი), ა. ტყებუჩავამ, ა. ჩხაიძემ (ლანჩხუთი), რ. ბაცაშვილმა, გ. ნადირაძემ (გორი), ს. გოზალიშვილმა (სიღნაღის რაიონი), გ. ცაგოიანმა (ბათუმი), ფ. ნადირაძემ (ჭიათურა), ნ. ლელაშვილმა, ნონა გაფრინდაშვილმა, მ. ურუშაძემ, დ. ლოლობერიძემ, რ. ხაჭაპურიძემ და ა. ნადარეიშვილმა (თბილისი), რ. მინდაძემ (კოჯორი).

ალიოხინმა პარტია ეფექტური კომბინაციით დაამთავრა:

1. ლb4! cb 2. a7!! ლd8 (თუ 2.... ეd7, მაშინ 3. a8ლ+ ეd8 4. ეc8) 3 ე:c7 ლa8 (4. ეb7 და 5. ეb8+ მუქარის გამო) 4. მფb3 მფg8 5. მფ:b4 მფf8 6. ეf7+ მფg8 (თუ 6. ... მფe8 7. ე:g7 მფf8 8. ეh7 მფg8 9. ეc7 მოგებით) 7. მფc3 ლc8+ 8. მფd2 მფh8 9. ეc7! ლa8 10. მფe3 მფg8 11. მფf3 მფf8 12. მფg4 მფg8 (ლაზიერი უნდა რჩებოდეს a8-ზე მუქარა ეb7 გამო) 13. h6 gh (საინტერესო იქნებოდა მფh8 14. hg+ მფg8 15. ეf7 ლ:a7 16. ე:a7 პატი მაგრამ თეთრები ითამაშებდნენ 14. ე:g7 ლc8 15. ეc7 მოგებით) 14. მფh5 მფh8 15. ეh7+! (ცუდი იყო 15. მფ:h6 ლf8+ 16. g7 ლ:g7 17. ე:g7 პატის გამო) მფg8 16. მფ:h6 ლc8 17. ეc7! (შეცდომა იქნებოდა 17. a8ლ? ლ:a8 18. g7 მფf7! 19 ეh8 ლg8! და ყაიმია) ლf8! 18. g7 ლa8 19. ეe7! ლc8 20. მფg6 ლa8 21. ეf7+! ლe8 22. a8ლ! ლ:a8 23. ეf8+ მოგებით.

სარდასტის კრივი

◆

სპორტის ისტორიიდან

◆

საქართველოში ძველთაგანვე არსებული სამხედრო ხასიათის თამაშის ერთ-ერთი პოპულარული სახეობა კრივი (მუშტით ან ხის ხმლით ბრძოლა) იყო. მას დიდი ინტერესით აწყობდნენ თბილისში, თელავში, გორსა და სხვაგან. მუშტის კრივი სხვადასხვანაირი იყო — დგომელა, ჩოქელა და ცალი ხელით. ასეთი კრივები ყოველ რელიგიურ დღესასწაულსა და კვირა დღეებში ქალაქის ფარგლებში ეწყობოდა: ავანოეზისა და ორთაჭალის ბაღების რაიონში, მთაწმინდაზე, ავლაბრის ხიდის, სიონისა და ანჩისხატის უბნებში. ყველა უბანს თავისი გამოჩენილი მოკრივე ყავდა. ყოველი მათგანი ხალხის მიერ შერქმეულ მეტსახელს ატარებდა: ქარაფ-ქანდილა (კლდის დამქცევი), ლნგრ სოლომონა (ნალის მღუნავი), ქაჩალ სტეფანე, გამხდარი სიმონა, ჭონი კვინიხა (არჩილ ბაგრატიონის ფალავანი), თეთრახალუხა (ჩოლურეთელი), წითელპერანგა კოლა, მეჩანგლე ლოპიანა (გრ. ორბელიანის ფალავანი), გიჟ-მიხაკა, პაჭუა, გიჟუა (დ. მ. ბებუთოვის ფალავანი), კომშუა მთაწმინდელი, ლორ-კოლა და სხვ. მოკრივე ფალავნებს ხშირად აჩუქრებდნენ, ხოლო ლოპიანაზე გრ. ორბელიანმა ლექსიც დაწერა.

ნ. ბერძენიშვილი 1858 წლის გაზეთ „კავკაზში" წერს: „თბილისში მუშტით ბრძოლა ახლაც არანაკლებ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. არის პერიოდები, როდესაც კრივით გატაცება გადაიზრდება ხოლმე მანიაში, რომელიც ძირითადად ახნებოვნებს ქალაქის მცხოვრებთა მოვაჭრე და ხელოსანთა ფართო ფენას. ამ ფენას მიეკედლება ხოლმე საქართველოს წარსული ტრადიციების ქომაგი ახალი და ძველი ყაიდის თავადები, — და კრივი მეორდება თითქმის ყოველ კვირას".

თბილისელებისათვის კრივის უფრო მეტად მიმზიდველი და გრანდიოზული სახეობა იყო სარდასტით (ხის ხმლითა და შურდულით) ბრძოლა, რომელიც ზამთარში ეწყობოდა. ეს „თამაში" ეწყობოდა სოლოლაკის ხევში ან ნარიყალას გარშემო. სარდასტის კრივს, ისევე როგორც კრივის სხვა სახეობას, დროთა განმავლობაში ხალხის მიერ შემუშავებული წესები ჰქონდა. ბრძოლის წინ მეომრები ჩოხის კალთებში ბლომად იმარაგებდნენ ქვებსა და ხელჩართული ბრძოლის დაწყებამდე მოწინააღმდეგეს შურდულით ტყორცნიდნენ. ეს თავისებური ბრძოლისწინა „საარტილერიო მომზადება" იყო. ქალაქის მცხოვრებლები ორ ბანაკად — ქვემო მხარედ ანუ შიდაუბნელებად და ზემომხარედ ანუ — გარეუბნელებად იყოფოდნენ.

ამოირჩევდნენ ყეენებს და ყველიერის ორშაბათიდან შაბათამდე დიდ მსვლელობას — ყეენობას მართავდნენ. კვირა დილას მოწინააღმდეგე ბანაკებს შორის დაიწყებოდა მოლაპარაკება და ყეენები ელჩების საშუალებით მოითხოვდნენ ხარკსა და თავის დაკვრას. ამაზე რა თქმა უნდა არცერთი მხარე არ თანხმდებოდა. კვირა საღამოს ორივე ყეენი თავისი ჯარით ქალაქის ფარგლებს ტოვებდა და ბრძოლის ველს მიაშურებდა.

„მე რომ მოგითხრობთ, იმ დღეს კრივი სოლოლაკში იყო დანიშნული, — იგონებს დ. მ. ბებუთოვი. — ჯარის წყობებს თავში მიუძღოდა დაფა-ზურნა და საყვირებით აძახებდნენ „ლოროტოტოსა", მომღერლები სალამურზე ამღერებდნენ საომარ ლექსებსა, მოშაირეები თარზე ამღერებდნენ უწინდელის გმირების ამბებსა... ორშაბათს 11 საათამდე კიდევ გაიმართებოდა ერთმანეთში მოლაპარაკება მოციქულების შემწეობითა, და უფრო იმ აზრით, რომ მაყურებლებისათვის მიეცათ დრო ქალაქგარეთ გამოსულიყვნენ და საჭვრეტი ალაგები დაეკავებინათ... თვითონ ციციანოვი, რომელსაც გარეთუბნელების მხარე ეჭირა, თავის ხლებულებით დადგა სოლოლაკის თავზე... ბოლოს დაუკრა ზურნამ ძველებური სიმღერა გმირ ქორ-ოღლოზე; იზრიალეს ერთის ხმით ლოროტოტო და ბრძოლა დაიწყო. ჯერ შევიბენით პატარები. სხვებში მეც გამოვხტი, დავიწყე შურდულით ქვის სროლა, ხის რხმალი მებნია და გვერდზე ნაბადი ვიგდე დასაცველად. ამ ქვის სროლაში თანდათან ვუახლოვდებოდით და რხმალში ვითხოვდით ერთმანეთსა. ერთი ბიჭი მომვარდა, იქით და აქეთ ხტოდა ჩემ წინა, რომ ქვა არ მომერტყა, ბოლოს ვეცით. დავუწყეთ ცემა ხის რხმალით ერთმანეთს. ჩემი მოწინააღმდეგე დავჭერი და მეც ტუჩი გამიხეთქა... თუმცა მაგრამ მინამ ბრძოლა არ გათავდა, ტუჩისტკივილიც ძალიან მაწუხებდა, შინ არ წავსულვარ... უეცრად გარეთუბნელები აირივნენ—ზოგი აქეთ წამოვიდა, ზოგი იქით: ამის მიზეზი აი რა იყო: ჩვენმა ყეენმა ჩუმად შუაღამეს გაგზავნა ერთი წყობა ჯარისა სოლოლაკის შემოსავლელად ტაბახმელას... ეს ჯარი ორშაბათ დილით უნდა წამოსულიყო და სოლოლაკის მთით ჩამოსულიყო მტრის პირდაპირ... როგორც კი ის მოწინავე წყობა გამოჩნდა, ჩაერივნენ დიდები და მიიწეოდნენ სოლოლაკის მაღლობისაკენ. მეშურდულეებისაგან როგორც სეტყვა, ისე მოსცვივოდა ქვები: დაჭრილები ბრძოლას თავს ანებებდნენ და იმათ მაგივრად სულ უფრო და უფრო დიდები შედიოდნენ. შიდაუბნელებმა მთის ნახევარი დაიჭირეს. ამ დროს თავდასავლელად გაგზავნილი ჯარი ჩამოვიდა მთიდან და დაუწყო ქვის ცემა გარეთუბნელებს, რომლებმაც უკეთესი მოკრივეები იმ ჯარს გაუყენეს, ამის გამო შიდაუბნელების ჯარმა დიდი ყვირილით შეუტია მტერს. წარჩინებული მოკრივეების სახელი ყველგან ისმოდა და მებრძოლებს ამხნევებდა. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. რხმლებს ლაწანი გაჰქონდათ. ქვა აღარ იყო ხმარებაში. კრივის ადათია, რაკი რხმლებით გადავლენ, მაშინ შურდულის ხმარება სიმუხთლეს ნიშნავს. გარეთუბნელებს ილაჯი გაუწყდათ და უკან დაიწიეს, ბოლოს გაიქცნენ და დაეშო ძირს სოლოლაკის ფერდზე... გაქცეულ ჯარს დიდი და პატარა გამოუდგა სოლოლაკის სივიწროეში და მთავარმართებლის სახლამდის მიერეკებოდნენ კივილ-ყიჟინით... ციციანოვმა და ქართველ თავადობამ სასახლისაკენ გაქუსლეს. [illegible] ჩამოხტა ცხენიდან და სასახლის ბალკონიდან [illegible] მოახსენეს: გარეთუბნელების წარუმატებლობა ყეენის ბრალია, რადგან სახელგანთქმული მოკრივე საათო გაითრგულა... — გამწყრალმა საათომ ერთი ორმოცდა ათი საუკეთესო ვაჟკაცი გადაარჩია, გადგა გვერდზე და ბრძოლაში არ გარეულა. ისინი მთაწმინდიდან დასცქეროდნენ დამარცხებულ ყეენსა. ციციანოვმა დაიბარა საათო, ერთი ქისა ოქროები დაასაჩუქრა და მოზვავებული მტრის გარეკვა უბრძანა. საათომ უპასუხა: ქვემოთუბნელებს ყავთ შერმაზანი, რომელიც ჩემი ტოლია და რომელსაც მე პატივსა ვცემ. მაგრამ როგორც ის და სხვა კარგი მოკრივეები ყველანი დაუჭრიათ და წაუყვანიათ. ჩვენ, 50 კაცს ჯერ არ გვიკრივნია, იმედია, თუ ერთად დავკრავთ, მტერს გავაქცევთო... საათომ ნაბრძანები ამხანაგებს გადასცა, ისინი აქეთ-იქით გვერდით ამოიყენა და დაარიგა; მეშურდულეებს ქვა არ მოახვედრებინოთ ჩემთვის, წინა მეომრებს მეც გაუმკლავდებიო. დაჰკრა ზურნამ, დასძახეს „ლოროტოტო" და ბრძოლა ახალი ძალით დაიწყო. ხალხმა დაიძახა, საათო მოდისო. საათო მართლაც ვეფხვსავით მტერს ჩაერია და თავის ხის რხმლით სულ ლაწანი აუყენა. შიდაუბნელები უძახოდნენ შერმაზანს, რომ ვაეჩერებინა საათო, მაგრამ ის არსად იყო. გაქცეულ შიდაუბნელებს, საათო ამხანაგებით უკან გამოეკიდა, შევიდა მთის წვერზე და იქიდგან აპირებდა რუში მტრების გადაგდებას... ამ დროს მეშურდულემ მოარტყა საათოს მარჯვენა თვალში.. ის დაეცა. აქ გაცხარებულნი შეიბნენ, მტერს უნდოდა დაჭრილი გმირი წაეყვანა, ამხანაგები არ ანებებდნენ. ციციანოვი მოვიდა ცხენით... და მებრძოლი ხალხის გაშველება და კრივის წესის დამრღვევი მეშურდულის დასჯა ბრძანა". (გაზეთი „დროება" 1867 წ.).

კრივის წარმოშობისა და განვითარების შესახებ პოეტ-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში" სამართლიანად აღნიშნავს: „ერთფეროვანი ფიზიკური შრომით დაღლილი სხეული, მოდუნებული მოძრაობა სისხლის გახალისებას მოითხოვდა და ტფილისელმა ხელოსნებმაც თავიანთი „ტვის სისხო მკლავების" გასატკაცუნებლად კრივსაც მიმართეს ისევე, როგორც ინგლისელებმა — ბოქსს".

მეფის ნაცვლის მ. ს. ვორონცოვის დროს 1850-იან წლებში სარდასტის კრივში მრავალი კაცი სახიფათოდ დაიჭრა. მთელი რიგი წარდგინებების შემდეგ მეფე ნიკოლოზ პირველმა გამოსცა ბრძანება: „კრივი ნებადართულია ქალაქგარეთ, მაგრამ ისე, რომ მუშტების გარდა სხვა რამ იარაღი არავინ იხმაროს". მთავარმართებელ ა. ი. ბარიატინსკის დროს (1856-1862) სარდასტის კრივი სამუდამოდ აიკრძალა.

ა. ცამციშვილი

უცხოეთის საფეხბურთო მოედნებზე

ლონდონი. ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის ლიდერი, „ვულვერჰემპტონი" დამარცხდა „ჩელსისთან" შეხვედრაში — 3:4.

პრაღა. ჩინეთის ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებთან. პირველი მატჩი სტუმრებმა მოუგეს ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდულ ნაკრებს — 3:2. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა აღინიშნა მასპინძელთა უპირატესობით — 3:2.

ბერლინი. გრძელდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველობა ფეხბურთში. გათამაშების ცხრილს ლიდერობს ერფურტის „ტურბინა" — 9 ქულა. მეორე ადგილზეა „აქტივისტი" (ბრისკა), შემდეგ მოდიან „ლოკ-ლაიპციგი", ფორვერტსი" (ბერლინი) და „ვისმუტი".

ბუდაპეშტი. დასასრულს უახლოვდება უნგრეთის ჩემპიონატი ფეხბურთში. უკანასკნელ ტურში გათამაშების ლიდერმა „ჰონვედმა" „ვაშაშთან" შეხვედრაში განიცადა დამარცხება — 1:3. გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჰონვედი"	21	17	1	3	78:26	35
„კანიჟი"	23	14	1	8	47:28	29
„ვერეშ-ლობ".	20	12	3	5	60:18	27
„ვაშაში"	23	9	7	7	42:46	25
„დოჟა"	22	9	4	9	44:39	22

ვენა. ავსტრიის პირველობის ლიდერია „რაპიდი", რომელმაც 12 თამაშში 17 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე 16 ქულითაა „ვიენა".

ლონდონი. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალისტებმა „უესტ გორომუიჩმა" და „პრესტონმა" გადამწყვეტი შეხვედრის შემდეგ მიიღეს 6.817 ფუნტი სტერლინგი. ლიგის დანარჩენმა 92 კლუბმა — 1.098 ფუნტი სტერლინგი თითეულმა.

რომი. გადაწყვეტილია, რომ იტალიის ფეხბურთელები არ მიიღებენ მონაწილეობას 1956. წლის ოლიმპიურ თამაშში. ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ კარგი ფეხბურთელები (მოყვარულები) უკანასკნელ ხანებში იტალიაში არ გამოჩენილა.

რედაქტორი **ი. უზულაავა.**

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მ მდივნის და განყოფილებების — 3 90-34, მორიგისა და გამომცემის — 3-38-25.

პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00106